კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.naec.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 17 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გამოცდების ეროვნული ცენტრი
www.naec.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
47,62%
80,00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
0,00%
0,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
25,88%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
25,93%
18,64%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
20,00%
29,25%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
95,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება არანაირი სახის ინფორმაცია ცენტრის დირექტორის შესახებ. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „ცენტრის დირექტორი“ სადაც განთავსდებოდა ცენტრის დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, იმ საჯარო თანანმდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან დირექტორს, ასევე მისი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

2. ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება არანაირი სახის ინფორმაცია დირექტორის მოადგილის შესახებ: სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

3. ცენტრის სრული სახელწოდებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ ცენტრის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან გათანაბრებულ ერთეულებს შეადგენენ შემდეგი ერთეულები:

- ლოჯისტიკის ჯგუფი;
- ადმინისტრაცია;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფი.

სამწუხაროდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი“ არ მოიძიება მათი სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები, საფოსტო მისამართები და ფაქსის ნომრები:

თბილისი 0102,
ივ. ჯავახიშვილის ქ. 60

ტელ: (995 32) 2 20 62 32
ფაქსი: (995 32) 2 43 94 03
ელ-ფოსტა: pr@naec.ge

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის მიზნების, საქმიანობის საგნისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაცია. სასურველია აღნიშნული ინფორმაცია მოიძიებოდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-) განყოფილებაში „ცენტრის ფუნქციები“.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი ინფორმაცია გამოცდების ეროვნული ცენტრის სტრუქტურის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცენტრის სტრუქტურულ ქვედაყოფებთან გათანაბრებულ ერთეულებს წარმოადგენენ შემდეგი ერთეულები:

- ლოჯისტიკის ჯგუფი;
- ადმინისტრაცია;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფი.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურის სქემატური ან ინფორმაციული აღწერა;

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: მისაღებების (თანაშემწეების) სამუშაო ელ.ფოსტები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

7. ცენტრის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, ცენტრის საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილებაში „ერთიანი გამოცდები“ არსებული ქვე-განყოფილება „კალენდარი/მოვლენები“ ცარიელია:



ცარიელია აგრეთვე ამავე განყოფილებაში სათაურად „ერთიანი გამოცდები“ არსებული ქვე-განყოფიელბა „ფოტოები“ :



განყოფილებაში „პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები“ არსებული ქვე-განყოფილებაში „პროგრამები“ განთავსებული ჩამოტვირთვის ფუნქცია არ მუშაობს. აგრეთვე, განყოფილებაში „კონფერენციები“ არსებულ ქვე-განყოფილებებში განთავსებული პრეზენტაციების ჩამოტვირთვის ფუნქცია არ მუშაობს.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის დირექტორის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები; ცენტრის დირექტორის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, მოადგილის მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებაში და მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები.

9. ვებ-გვერდზე არ არსებობს ცალკეული (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ცენტრის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. ამასთან, ვებ-გვერდზე მოიძიება მხოლოდ 2010 და 2011 წლის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც განთავსებულია (ქვე-)განყოფილებაში „სიახლეები“, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:



10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიში".

12. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა" და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან", სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები", სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

14. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები" განთავსებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა საკმაოდ მწირია. მოცემული განყოფილება შემოიფარგლება მხოლოდ ორი მოძველებული საკანონმდებლო აქტით. არ არის განთავსებული საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულო კოდექსი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონი, ცენტრის შინაგანაწესი და ცენტრის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები. აგრეთვე, არ მოიძიება ცენტრის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტები:



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

15. ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და მიღების წესის აღწერა.

16. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს არსებობს (ქვე-)განყოფილება „ვაკანსია“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და

შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

20. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ცენტრისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
68,75%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
53,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
70,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
85,71%
9. ელექტრონული ჩართულობა
33,33%
10. ელექტრონული სერვისები
8,33%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
20,00%
12. უსაფრთხოება
66,67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
58,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ნავიგაცია**

მთავარი მენიუ დაწერილია პატარა ზომის ფონტით, რაც ართულებს მის წაკითხვას:



ხოლო იმ პირებს, ვისაც მხედველობასთან პრობლემები აქვ თ, ძალიან გაუჭირდებათ ვებ-გვერდზე მუშაობა;

ვებ-გვერდის ინგლისური ვერსია არ არსებობს ან მზადების პროცესშია, ღილაკი "Georgian" უფუნქციოა:

- **ძიება**

ძიების ველში იწერება ლათინური შრიფტით და არა ქართულით:



ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში საჭიროა ავტომატურად იყოს ჩართული ფუნქცია, რომელიც სისტემაში ენის შეცვლის გარეშე მისცემს მომხმარებელს საშუალებას დაწეროს ქართული შრიფტით;

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდზე არსებობს RSS არხი:



მასზე დაჭერით კი გადავდივართ შემდეგ ბმულზე: news.naec.ge, რომელიც ინტერნეტ სივრცეში მიუწვდომლია:

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვიდეო პორტალ YouTube-ზე არსებობს საშულება Channel-ის (ანუ საკუთარი არხის) შექმნის, რომელსაც იყენებენ სხვა და სხვა სიახლეების გასაცნობად და გასაზიარებლად. შესაბამისად ვებ-გვერდზე ზუსტად YouTube-ის არხის ბმული უნდა დაიდოს და არა უბრალოდ YouTube-ის ბმული, როგორც ვებ-გვერდ naec.ge-ზეა გაკეთებული:

იგივე შეიძლება ითქვას სოციალურ ქსელ Twitter-ის ღილაკზე;

- **უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სხვა საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებთან შედარებით naec.ge-ზე გათვალისწინებულია ფონტის გაზრდისა და დაპატარავების ფუნქცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფუნქცია ყველგან კორექტულად არ მუშაობს, მაგალითად:

სანამ ფონტის გაზრდის ფუნქციას გამოვიყენებდით:

სკოლების მხარდაჭერის პროექტი

A+ A-

პროექტის მიზანი:
საქართველოს საჯარო სკოლების, პედაგოგების დახმარება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

პროექტის მოკლე აღწერა:
გამოცდების ეროვნული ცენტრი მოამზადებს სპეციალურ ვიდეომასალას, სადაც ცენტრის ექსპერტები დაწვრილებით ისაუბრებენ საგამოცდო ტესტების, მათი სპეციფიკის შესახებ. მომზადდება და გავრცელდება საინფორმაციო ხასიათის ნაბეჭდი პროდუქცია არა მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების, არამედ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების, საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევების, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადისა და სხვა, სასწავლო პროცესთან მჭიდროდ დაკავშირებული აქტივობების შესახებ.

დამხმარე მასალების მომზადება და გავრცელება:

დამხმარე ვიდეომასალა:
გამოცდების ეროვნული ცენტრი მოამზადებს დამხმარე ვიდეოპროდუქციას ზოგად უნარებსა და სხვა საგამოცდო საგნებში. ტესტზე, მის დანიშნულებასა და მიზანზე, ასევე კონკრეტულ დავალებებზე ისაუბრებენ ექსპერტები, რომლებიც ქმნიან ამ დავალებებს. კონკრეტული ტიპის დავალებების განხილვის, განმარტებისა და პასუხის გაცემის გზის ჩვენებითა ცენტრის წარმომადგენლები მკაფიოდ აუხსნიან აუდიტორიას ტესტურ დავალებებზე მუშაობისა და მათთვის მომზადების მთავარ და მნიშვნელოვან პრინციპებს. ეს პროდუქცია ეფექტური დამხმარე მასალა იქნება არა მხოლოდ მომავალი აბიტურიენტებისათვის, არამედ

გამოყენების შემდეგ:

სკოლების მხარდაჭერის პროექტი

პროექტის მიზანი:

საქართველოს საჯარო სკოლების, პედაგოგების დახმარება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

პროექტის მოკლე აღწერა:

გამოცდების ეროვნული ცენტრი მოამზადებს სპეციალურ ვიდეომასალას, სადაც ცენტრის ექსპერტები დაწვრილებით ისაუბრებენ საგამოცდო ტესტების, მათი სპეციფიკის შესახებ. მომზადდება და გავრცელდება საინფორმაციო ხასიათის ნაბეჭდი პროდუქცია არა მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების, არამედ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების, საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევების, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადისა და სხვა, სასწავლო პროცესთან მჭიდროდ დაკავშირებული აქტივობების შესახებ.

თუ ამ ორ სურათს დააკვირდებით, დაინახავთ, რომ განსხვავება მხოლოდ სიტყვებს შორის სიმაღლეში დაშორებაა და არა ფონტის გაზრდა, რაც შეცდომაა. ამ შეცდომის ბმული: http://www.naec.ge/skhva-aqtivobebi/skolebis-mkhardatceris-proeqti.html?lang=ka-GE

- **უსაფრთხოება**

Robots.txt-ში რომელიც ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია, წერია ადმინისტრატორის გვერდის მისამართი:

http://www.naec.ge/robots.txt

Most Visited | Getting Started | Latest Headlines | Apache W

```
User-agent: *
Disallow: /administrator/
Disallow: /cache/
Disallow: /components/
Disallow: /images/
Disallow: /includes/
Disallow: /installation/
Disallow: /language/
Disallow: /libraries/
Disallow: /media/
Disallow: /modules/
Disallow: /plugins/
Disallow: /templates/
Disallow: /tmp/
Disallow: /xmlrpc/
```

რაც დაუშვებელია, ასეთი ფაქტი ზრდის ვებ-გვერდის გატეხვის შანსს;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი კარგ შთაბეჭდილებას, ტოვებს მითუმეტეს, რომ მონიტორინგის შედეგად მას ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება მიენიჭა ტექნიკირი გამართულობის ხარისხში. თუმცა, ეს საკმარისი არ არის, რადგან ვებ-გვერდს ჭირდება სხვა დამატებითი ფუნქციების ინტეგრაცია. მაგალითად ისეთის როგორიც არის გაომცდების შედეგების შემოწმება მობილურის საშუალებით (ვებ-გვერდიდან და არა სხვა საშუალებებით), ელექტრონული ჩართულობა, სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია, რომელიც ერთი შეხედვით ჩანდა, რომ საკმაოდ კარგად იყო გაკეთებული თუმცა, რეალურად რამოდენიმე ღილაკი საერთოდ უფუნქციოა (Youtube-ისა და Twitter-ის ღილაკები), ვებ-გვერდს არ აქვს ინგლისური ვერსია და სხვა უამრავი დეტალი.